ბორჯომის მუნიციპალიტეტი

მერის ოთარ არბოლიშვილის

2021 წლის ანგარიში

საქართველო

1200

ბორჯომი

მესხეთის ქ N 5



შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის ოთარ არბოლიშვილის მიერ 2021 წლის საანგარიშო პერიოდში გაწეული სამუშაოს შესახებ ოფიციალურ დოკუმენტს. ანგარიშში დეტალურადაა გადმოცემული 2021 წლის 12 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მასშტაბით განხორციელებული პროექტები, მნიშვნელოვანი მოვლენები და მიღწევები. დოკუმენტში ასახულია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულებული გეგმა, შედეგები, ასევე ის ცვლილებები და წარმატებები, რომელსაც ადგილი ჰქონდა მუნიციპალიტეტში. ყურადღება გამახვილებულია ძირითად გამოწვევებზეც, რომლის დაძლევაც მომავალი წლების მთავარ პრიორიტეტად რჩება ადგილობრივი თვითმმართველობისთვის. მერის ანგარიში საჯაროა და შესაბამისად ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული მოქალაქისთვის.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი და მისი მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 28 370.2 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება 32 715.6 ათასი ლარია. ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 34 067.0 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 31 150.5 ათასი ლარი.

განსახილველ პერიოდში მერისა და მისი დაქვემდებარებული სამსახურების განხორციელებული საქმიანობა წარიმართა ბიუჯეტით გაწერილი მიმართულებებისა და დასახული გეგმის შესაბამისად.

2021 წელს, ადგილობრივი თვითმმართველობის უმთავრეს პრიორიტეტს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი სრულყოფა წარმოადგენდა. შესაბამისად ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი თანხებიც სწორედ სამშენებლო სამუშაოებს მოხმარდა.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურული პროექტები დაფინანსდა 6 362 276 ლარით. რეგიონალური განვითარების ფონდიდან 7 782 785 ლარი, ხოლო მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 1 094 317 ლარი.

2021 წელს ინფრასტრუქტურული პროექტების პარალელურად საბიუჯეტო დაფინანსების ძირითად პრიორიტეტს ასევე წარმოადგენდა მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესება. მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული 20 სოციალური პროგრამისათვის გახარჯული თანხა 2 769.6 - ლარს შეადგენს.

ამასთანავე 2021 წლის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროს განვითარება ასევე დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მიმართულების ეფექტური ფუნქციონირება.

ინფრასტრუქტურა

ადგილობრივი თვითმმართველობა აგრძელებს იმ კურს, რასაც ინფრასტრუქტურის განვითარება და მაღალ სტანდარტებთან შესაბამისობა ჰქვია. გასული წლის უმთავრესი მიმართულებაც მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოები იყო. როგორც ქალაქში ასევე მიმდებარე სოფლებში მასშტაბური პროექტები განხორციელდა საგზაო ინფრასტრუქტურის კუთხით. მოცულობითი სამუშაოები ჩატარდა ასევე სკვერების, სპორტული მოედნების, საყრდენი კედლებისა და შიდა საკომუნიკაციო სისტემების რეაბილიტაცია-მოწყობისათვის.

შესაბამისად ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი თანხებიც სწორედ სამშენებლო სამუშაოებს მოხმარდა.

ჯამში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად დაიხარჯა 15 239 378 ლარი, მათ შორის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 6 362 276 ლარი, რეგიონალური განვითარების ფონდიდან 7 782 785 ლარი, ხოლო მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 1 094 317 ლარი.

გზების რეაბილიტაციისათვის დაიხარჯა 3 560 676 ლარი, გზები დაიგო ქ. ბორჯომში 2 მისამართზე , ასევე 2 დაბაში და 5 სოფელში.

- ✓ ქ. ბორჯომში სააკაძის ქ.N#3-ში კორპუსის მიმდებარე ტერიტორია;
- ✓ ქ.ბორჯომში რუსთაველის ქ #35-დან #39-ის მიმდებარედ.

დაბები და სოფლები - დაბა წაღვერი, დაბა ბაკურიანი წერეთლის ქუჩის რკალის (წაქაძის ქუჩის მიმდებარედ), წერეთლის ქუჩის მიმდებარედ ხიდი და წაქაძის ქუჩის ჩიხი („სახლი ტყეში“ მიმდებარედ II ეტაპი). სოფ: ბეშეთი, ვარდგინეთი და ჭიხარულა-მოლითის დამაკავშირებელი გზა.

განხორციელებული სამუშაობის შედეგად 2021 წელს ბორჯომში გზა 6,3 კმ სიგრძის მონაკვეთზე დაიგო.

ფეხით სავალი ნაწილის რეაბილიტაციაზე დაიხარჯა 655 576 ლარი, განხორციელდა:

- ✓ ქ. ბორჯომში რუსთაველი ქ. #2-დან აღმაშენებლის ქუჩამდე მდ. მტკვარის გამყოლი ნაპირსამაგრი კედლის რეაბილიტაცია;
- ✓ ქ. ბორჯომში სასტუმრო ლიკანი პალასიდან რუბენ ვეფხვაძის ქუჩამდე ფეხით სავალი გზის რეაბილიტაცია;
- ✓ ქ. ბორჯომში რუსთაველის და მესხეთის ქუჩაზე გამყოლი გზისპირა მოაჯირის მოწყობა.

გარე-ვიდეო სამეთვალყურეო, სიჩქარის შემზღუდველი ბარიერების და სიჩქარის რადარების შეძენა მონტაჟისათვის დაიხარჯა 56 395 ლარი და განხორციელდა ვიდეო კამერების მოვლა პატრონობა.

საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა პატრონობისათვის ჯამში დახარჯულია -1 227 559 ლარი.

წყალსადენებისა და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა რეაბილიტაციისათვის დაიხარჯა 846 864 ლარი, განხორციელდა:

- ✓ სოფელ ანდეზიტში სასმელი წყლის რეზერვუარისა და საქლორატოროს მოწყობა;
- ✓ დაბა ახალდაბაში სასმელი წყლის მაგისტრალური მოწყობა;
- ✓ სოფელ ყვიბისში სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია;
- ✓ სოფელ კორტანეთში სასმელი წყლის მოწყობა;
- ✓ სოფელ საკირეში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა (დასრულდება 2022 წელს).

გარე განათების ქსელის მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ხარჯებიდან დაიხარჯა 10248 ლარი, განხორციელდა:

- ✓ სოფელ თორში არსებული მზის ფოტოელექტრული სისტემისათვის აღსადგენი კომპონენტების შესყიდვა (თანმდევი მონტაჟის მომსახურებით);
- ✓ ქ. ბორჯომში, რუსთაველის ქუჩის გამყოლი სკვერიდან საჰაერო მონაკვეეთის გადატანა საკაბელო ხაზში საყრდენებს შორის (პროექტი დასრულდება 2022 წელს).

საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია და ცენტრალურ ქუჩაზე ფასადების რეაბილიტაციისათვის დაიხარჯა 1 408 669 ლარი, განხორციელდა :

- ✓ ქ.ბორჯომში რუსთაველის ქ.#51-ში საცხოვრებელი კორპუსის ფასადის და სახურავის რეაბილიტაცია;
- ✓ ქ.ბორჯომში რუსთაველის ქ.#51ა-ში და #53-ში საცხოვრებელი კორპუსის ფასადის რეაბილიტაცია;
- ✓ ქ. ბორჯომში რუსთაველის ქუჩა #115-ში შენობის ფასადის და სახურავის რეაბილიტაცია (პროექტი დასრულდება 2022 წელს);
- ✓ ქ.ბორჯომში რუსთაველის ქ#109-ში არსებული შენობის ფასადის და სახურავის რეაბილიტაცია;
- ✓ ქ. ბორჯომში მესხეთის ქ.#5-ში არსებული მერიის შენობის რეაბილიტაცია.

ბინათმესაკუთრეტა ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამისათვის დაიხარჯა 312 402 ლარი, განხორციელდა:

- ✓ ქ. ბორჯომში რუსთაველის ქუჩა #105-ში საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია;
- ✓ ქ. ბორჯომში რუსთაველის ქუჩა #109-ში საცხოვრებელ კორპუსთან საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია;
- ✓ ლიფტები -(სააკაძის ქუჩა #2-ში, ერეკლეს ქუჩა #25-ში , ნინოშვილის ქუჩა #1ბ-ში და რუსთაველის ქუჩა #107-ში) ;

საყრდენი კედლების რეაბილიტაციისათვის დაიხარჯა 743 010 ლარი, მოეწყო:

- ✓ ქ. ბორჯომში რაზმაძის ქ. #25-ის მიმდებარედ გზის გამყოლი საყრდენი კედელი;
- ✓ ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭობისხევში სკოლის მიმდებარედ საყრდენი კედელი;

- ✓ ქ. ბორჯომში თორის ქუჩა #36 - 40- ის მიმდებარედ რკინა- ბეტონის საყრდენი კედელი;
- ✓ სოფელ ვარდგინეთში საავტომობილო გზის დამჭერი საყრდენი კედელი.

სანიაღვრე არხების რეაბილიტაციისათვის დაიხარჯა 42890 ლარი, განხორციელდა:

- ✓ ქ.ბორჯომში, სააკაძის ქუჩის გამყოლი ღია სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია;
- ✓ ქ.ბორჯომში თორის ქუჩაზე სტიქიის შედეგად დაზიანებული სანიაღვრე არხის გაწმენდა.

სკვერების რეაბილიტაციისათვის დაიხარჯა 4 099 548 ლარი, განხორციელდა:

- ✓ ქ. ბორჯომში წმ.ნინოს ქ#2-ში #1 საჯარო სკოლის მიმდებარედ სკვერის მოწყობა;
- ✓ ქ. ბორჯომში რუსთაველის ქუჩაზე - სანაპიროზე სკვერის მოწყობა (დასრულდება 2022 წელს);
- ✓ ქ. ბორჯომშო მ.კოსტავას სახელობის პარკის და მოედნის რეაბილიტაცია (დასრულდება2022 წელს) ;
- ✓ ქ. ბორჯომში გრიგოლ ხანძთელის ქუჩა #9-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა;
- ✓ ქ. ბორჯომში რუსთაველის ქუჩა #115-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია;
- ✓ ქ, ბორჯომში ნიკოლაძის ქუჩა #15-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა;
- ✓ ქ, ბორჯომში აღმაშენებლის ქუჩა #15-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა;
- ✓ დაბა წაღვერში კულტურის სახლის მიმდებარედ სკვერის მოწყობა;
- ✓ ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტბაზე სკვერის მოწყობა;

განხორციელდა ასევე 10 ერთეული ფანჩატურის მოწყობა(ქ.ბორჯომში მესხეთის ქ.N57, ა.ხორავას ქუჩაზე, სააკაძის ქN2, მესხეთის ქ#51, პლატო, სოფ. ჩითახევი, ტბა, კორტანეთი, ზანავი, დგვარი ;

დეკორატიული საყვავილეების მოწყობა საინფორმაციო დაფეიბის განსათავსებლად განხორციელდა 5 ლოკაციაზე.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ხელშეწყობისათვის ჯამში დაიხარჯა 825 486 ლარი, 34 სოფელში განხორციელდა 35 პროექტი:

- ✓ სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია;
- ✓ სანიაღვრე და სარწყავი სისტემების რეაბილიტაცია;
- ✓ სკვერების მოწყობა;
- ✓ სპორტული მოედნის მოწყობა;

- ✓ ტრენაჟორის მოწყობა;
- ✓ გარე განათების ქსელის მოწყობა.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაციისათვის დაიხარჯა 248 628 ლარი, საქვაბეების შენობის გამოტანა განხორციელდა:

- ✓ ქ. ბორჯომში #1 , #3 და #4 ბაგა- ბაღებში;
- ✓ სოფ: ვარდგინეთში,ყვიბისში, დაბა წაღვერსა და დაბა ახალდაბაში.

სპორტული მოედნების რეაბილიტაციისათვის დაიხარჯა 307448 ლარი,
სპორტული მოედანი მოეწყო ქ. ბორჯომში წმინდა ნინოს ქ#2-ის მიმდებარედ;
გარე გამოყენების სავარჯიშო მოწყობილობები დამონტაჟდა:

- ✓ ქ.ბორჯომში რუსთაველის ქ#107-ის მიმდებარედ;
- ✓ ქ.ბორჯომში ა.ხორავას ქუჩაზე;
- ✓ სოფ.ყვიბისსა და ტბაზე.

კულტურის სფეროს დაწესებულებების რეაბილიტაციისათვის დაიხარჯა 352 386 ლარი, განხორციელდა:

- ✓ დაბა ახალდაბაში რუსთაველის ქუჩაზე კულტურის ცენტრის შენობის რეაბილიტაცია;
- ✓ დაბა ბაკურიანში მუსიკალური სკოლის გათბობის ქვაბის შენობის გარეთ გატანის სამუშაოები.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარეაბილიტაციისათვის დაიხარჯა 20 597 ლარი, განხორციელდა:
ქ. ბორჯომში ლიეტვუელი დრამატურგის ანტანას ვილკუტაიტის კეტურაკისის ბიუსტის აღსამართავად შესაბამისი კვარცხლბეკის (პლატფორმის) მოწყობა.

საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასა და საზედამხედველო მომსახურეობისათვის ჯამში დაიხარჯა 520 997 ლარი .

კეთილმოწყობა-დასუფთავება

2021 წელს, ბორჯომის მუნიციპალიტეტი გამართული ინფრასტრუქტურით შეხვდა. როგორც ბორჯომს ასევე დაბა ბაკურიანს მრავალფუნქციური ქუჩების საწმენდი მანქანები ემსახურება, რომლებიც ადგილზე ახდენენ სანაგვე ბუნკერების

რეცხვადეზინფექციას. ქალაქისა და მიმდებარე სოფლების ტერიტორიაზე განთავსდა ახალი სანაგვე ურნები, რომლებმაც დაზიანებული კონტეინერები ჩაანაცვლა. დასუფთავების სამსახურის 6 კაციანი მობილური ჯგუფი, მთელი წლის განმავლობაში ყოველდღიურად ზრუნავს ქალაქის სისუფთავეზე. მათი დახმარებით, იწმინდება ცენტრალური და შიდა გზების მიმდებარე ტერიტორიები, ფერდობები, ქუჩები, ტროტუარები. მათი მხრიდან ხდება მყისიერი რეაგირება ყველა შემოსულ შეტყობინებაზე.

ქალაქ ბორჯომის ქუჩებში დასუფთავების მასშტაბური სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. ცენტრალური მაგისტრალი, შიდა ქუჩები საფეხმავლო ბილიკები, ფერდობები და მიმდებარედ არსებული ტერიტორიები ამ წლების მანძილზე წლობით დაგროვილი ნაშალი მასალისგან, ქვა-ღორღისა და სხვა სახის ნარჩენისაგან გაიწმინდა. აღნიშნულმა აქტივობებმა ქალაქსა და ტურისტულ ზონებში ხელი შეუწყო დასუფთავების სერვისისა და ეკოლოგიური საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას.

აღსანიშნავია, პანდემიის პირობებში დასუფთავების სამსახურის ოპერატიული და კოორდინირებული მუშაობა. ბორჯომის მუნიციპალიტეტში სადეზინფექციო სამუშაოები ყოველკვირეულ რეჟიმში ტარდება. სპეციალური ხსნარებით ირეცხება საავტომობილო გზები, ავტობუსის მოსაცდელები, სკვერები, საფეხმავლო ბილიკები, ასევე ბანკების, სკოლების, სასურსათო მარკეტებისა და ბენზინგასამართი სადგურების მიმდებარე ტერიტორიები. დეზინფექცია უტარდება მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებსა და მათ გარე სივრცეებს.

სოციალური სფერო

ბორჯომის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენს. ამ მიზნით ადგილობრივ მუნიციპალიტეტში 20 სოციალური პროგრამა მოქმედებს. აღსანიშნავია, რომ პროგრამები გულისხმობს, როგორც ყოველთვიურ ასევე ერთჯერად დახმარებებს ბენეფიციარებისათვის. 2021 წლის 12 თვის მონაცემებით, სოციალური პროგრამების განხორციელებისთვის 2 585 100 ლარია გაცემული. დახმარება ჯამში 4566 მოქალაქეს

გაეწია, აღნიშნული თანხა მოიცავს სოციალური მომსახურების ცენტრის დაფინანსებასაც.

1 028 500 ლარი სტაციონარული მომსახურებისათვის გამოიყო, მედიკამენტების შესაძენად 348 100 ლარი, ხოლო ონკოლოგიური პაციენტების დასფინანებლად 18 200 ლარი გაიხარჯა. მოქმედი სოციალური პროგრამების მიხედვით, დახმარება მიიღეს 4 და მეტ შვილიანმა ოჯახებმა, შშმ პირებმა, ახალდაქორწინებულებმა, ახალშობილებმა, გამოჩენილმა ადამიანებმა, დედ–მამით ობოლმა ბავშვებმა და ა.შ. ჩამოთვლილთაგან სტაციონარული და ამბულატორიული პროგრამების გარდა, რომლებიც უდაოდ გამორჩეულ პროგრამებს, ერთ-ერთი განსაკუთრებული ინიციატივაა ასევე 4 და მეტ მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება, რომელიც დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მრავალშვილიანი ოჯახების ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

პროგრამის მიხედვით, მუნიციპალიტეტი ყოველთვიურად ოჯახებზე ფულად თანხას (4 შვილზე ყოველთვიურად - 150 ლარი, 5 შვილზე - 200, 6 შვილზე - 250 და ა.შ.) გასცემს. აღსანიშნავია, რომ სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახები, დახმარების სახით 50 ლარით მეტ თანხას იღებენ. ამასთანავე ყოველთვიურად ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის გადასახადის დროს თანხით ეხმარება. ოჯახებს თანხა ერიცხებათ ახალი წლის, აღდგომისა და 3 მარტის დღესასწაულებზე. მრავალშვილიანი ოჯახების წევრებზე უფასოა მგზავრობა შიდა მუნიციპალური ტრანსპორტითაც.

ბოლო რამდენიმე წლის მონაცემებზე დაყრდნობით, პროგრამის განხორციელების მანძილზე 4 და მეტ შვილიანი ოჯახების რიცხვი თითქმის გასამმაგებულია. თუ 4 წლის წინ ასეთი ოჯახების რაოდენობა 37 იყო დღეის მონაცემებით, მათი რიცხვი 98-ია.

აღსანიშნავია, ასევე ის ერთჯერადი დახმარებები, რომელსაც მუნიციპალიტეტი სხვადასხვა დღესასწაულთან დაკავშირებით გასცემს.

პროგრამის მიხედვით:

- ✓ დედის დღესთან დაკავშირებით 98 მრავალშვილიან დედას ჩაერიცხა 150 ლარი;
- ✓ სააღდგომოდ 100 ლარიანი დახმარება სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით 651 ბენეფიციარმა მიიღო;
- ✓ 9 მაისს, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანსა და მათთან გათანაბრებულ 21 პირს ჩაერიცხა 200 ლარი;
- ✓ 26 მაისს, დამოუკიდებლობის დღეს 35 -მა შშმ ვეტერანმა 100 ლარი მიიღო;
- ✓ 1 ივნისს-ბავშვთა საერთაშორისო დღეს დედ-მამით ობოლ ბავშვებს ჩაერიცხათ 200 ლარი;

- ✓ ზამთრის სეზონთან დაკავშირებით, სათბობით უზრუნველსაყოფად სოციალურურად დაუცველ 651 პირს ჩაერიცხა 150 ლარი;
- ✓ ახალი წლის დღესასწაულზე სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით,მოქალაქეები 100 ლარს მიიღებენ.

ბორჯომში მოქმედი სოციალური პროგრამები ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეებისათვის შეიქმნა და ითვალისწინებს მერიის დახმარებას, როგორც სოციალურად დაუცველი ბენეფიციარების, ასევე მუნიციპალიტეტის ნებისმიერ მცხოვრების მიმართ. ბორჯომის მუნიციპალიტეტისათვის მოქალაქეთა მდგომარეობის გაუმჯობესება ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რასაც აღნიშნული პროგრამების წარმატებით განხორციელება ადასტურებს.

კულტურა

პანდემიის მიუხედავად, 2021 წელი კულტურული ღონისძიებების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. რეგულარულად ტარდებოდა სხვადასხვა ღონისძიება, ქვეყანაში არსებული შეზღუდვების და რეგულაციების გათვალისწინებით. მათ შორის ყველაზე მასშტაბური და მნიშვნელოვანი იყო :

- ✓ სახალწლო ნაძვის ხის ანთების ცერემონია.

- ✓ პანდემიის მიუხედავად, ბორჯომში აგვისტოს თვე "ზაფხულის საღამოებით" აქტიურად დაიტვირთა. კონცერტები სხვადასხვა მომღერლებისა და ჯგუფების მონაწილეობით, ღია ცის ქვეშ, ყოველ შაბათ-კვირას ტარდებოდა. "ზაფხულის საღამოები" ტურისტებისა და ვიზიტორების საყვარელ ღონისძიებად იქცა და მას როგორც ადგილობრივი მცხოვრებლები, ასევე ქალაქის სტუმრები ესწრებოდნენ.

- ✓ პანდემიამ ხელი ვერ შეუშალა საერთაშორისო კონკურსების მიმდინარეობას. თენგიზ ამირეჯიბის სახელობის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსი ბორჯომში წელს მეშვიდედ გაიმართა. კონკურსის მთავარი მიზანი ნიჭიერი მუსიკოსების წარმოჩენაა. მისი ჟიურის შემადგენლობაშია მსოფლიო მნიშვნელობის ქართველი და უცხოელი მუსიკოსები. ამირეჯიბის კონკურსი ტრადიციად არის ქცეული და ბორჯომს კლასიკური მუსიკის ქალაქად წარმოაჩენს საერთაშორისო სამუსიკო ასპარეზზე.

„ახალგაზრების ხელშეწყობის“ კუთხით, ბორჯომში მნიშვნელოვანი წამახალისებელი პროექტები მუშაობს, რომელსაც უამრავი ბორჯომელი ბენეფიციარი ჰყავს. ბორჯომის მუნიციპალიტეტი ზრუნავს ახალგაზრდებზე და სწორედ ამიტომ მათ სტიმულს აძლევს სხვადასხვა სფეროებში წარმატების მიღწევაში. 2021 წელს წარმატებული ბორჯომელი ნორჩი მუსიკოსებისათვის გაიცა 2 050 ლარი, ხოლო წარმატებული სპორტსმენებისათვის 13 000 ლარი ჯილდოს სახით. ასევე დაფინანსდა მოსწავლეთა საწარმოები, ჯამში 1 080 ლარით.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტია „სტუდენტთა დაჯილდოების პროგრამა“, რომლის ფარგლებში, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მკვიდრი ახალგაზრდები, რომლებიც არიან საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის წარჩინებული სტუდენტები (უმაღლესი ა კატეგორიის ქულებით), ჯილდოვდებიან 1000 (ათასი) ლარით წარმატებული სემესტრში. 2021 წელს სტიპენდია მიიღო 62 სტუდენტმა. აღნიშნული პროექტისათვის ბორჯომის ბიუჯეტიდან 101 000 ლარი გაიცა (ზოგი სტუდენტი ორჯერ დაჯილდოვდა, ორ - საგაზაფხულო და საშემოდგომო სემესტრში).

ტურიზმი

მიუხედავად პანდემიისა, გასულ 2020 წელთან შედარებით 2021 წელს, ბორჯომის მუნიციპალიტეტს გაცილებით მეტი ტურისტი ეწვია, თუ 2020 წელს 78 000 ვიზიტორი იყო ჩამოსული. 2021 წელს 123900 შეადგინა

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის აქტიური თანამშრომლობითა და ხელშეწყობით, განხორციელდა Google for Tourism Campaign -ის პროექტი "გააციფრულე საქართველო". აღნიშნული პროექტის ფარგლებში მომზადდა ე.წ „ციფრულ მოხალისეები“, რომლებიც ამატებენ და აკორექტირებენ კომენტარებსა და შეფასებებს, ამატებენ ფოტოებს სხვადასხვა ტურისტული დანიშნულების ადგილის შესახებ (პარკი, სასტუმრო, მუზეუმი, ბიბლიოთეკა, ატრაქციონი, ციხე თუ სხვა კულტურული ძეგლი, ასევე სხვა დანიშნულების ობიექტი), რომელიც არ არის აღნიშნული Google Map-ზე ან აღნიშნულია შეცდომით (არასწორი პინი, მისამართი, ინფორმაცია და სხვა). დღემდე Google Map-ში შევიდა მრავალი ცვლილება, Google Map ნელ-ნელა ხდება უფრო დახვეწილი და ეს არის მუდმივი პროცესი. ეს არის მეტად მნიშვნელოვანი ჩვენი მხარის შესახებ ცნობადობის ამაღლების, ტურისტთა ორიენტაციის გაადვილების, ასევე ადგილობრივი ტურისტული ბიზნესის ხელმისაწვდომობის გაზრდის თვალსაზრისით.

ასევე, 24 – 27 მაისს განხორციელდა ბორჯომის, როგორც საინტერესო ტურისტული დანიშნულების ადგილის, სატელევიზიო რეკლამა, კერძოდ, მოეწყო პრეს-ტური:

აშშ-ს რადიო „თავისუფლების“ ფარგლებში, ტელეკომპანიამ ‘’Настоящее Время”, პროგრამაში „Ждем в гости с Зурабом Двали“, მოამზადა დიდ საპრეზენტაციო გადაცემა ბორჯომზე, სადაც გააშუქეს ბორჯომის პარკი, მუზეუმი, ტიმოთესუბანი, სერაფიმე საროველის ეკლესია, ეროვნული პარკის საცხენოსნო ტური, ხაჭაპურიძის მარანი სოფ. ქვაბისხევში, მოეწყო კულინარიული ტური და სხვა.

სპორტი

ჩატარდა სპორტსმენთა და მოყვარულთა ყოველწლიური შეჯიბრებები ფეხბურთსა და კალათბურთში, რომელიც ძალიან პოპულარულია სპორტის მოყვარულთა შორის.

ბორჯომელი სპორტსმენების ყველაზე დიდ მიღწევად და წარმატებად გამოვყოფთ:

- ✓ ბორჯომელი ნორჩი მოჭადრაკის, ბარბარე შონიას გამარჯვება, რომელმაც მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის ტიტული ჭადრაკში,
- ✓ ასევე, 23 მაისს, ქ. თბილისში გამართულ „საქართველოს უძლიერეს მამაკაცთა და მთიელთა თამაშების ეროვნულმა ნაკრებმა“ დაამყარა მსოფლიო რეკორდი 105 ტონიანი სატვირთო მანქანის გაქაჩვაში (7 მეტრზე). გუნდის ცხრაკაციან შემადგენლობაში იყო ბორჯომელი გიორგი ტალახაძე,
- ✓ ბორჯომელმა გიორგი ტალახაძემ მოიპოვა ორი ოქროს მედალი, 27-29 ნოემბერს, ქ. თბილისში გამართულ საერთაშორისო ჩემპიონატზე ორ სახეობაში: შტანგის გადატანა და სატვირთო მანქანის გაქაჩვა.